

დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 18 ნოემბრის №1616/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, საერეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „YES“ მსგავსია კომპანიის „UAB "GRANEX"“ სახელზე რეგისტრირებული და საქართველოში დაცული საერთაშორისო ნიშნისა „y.e.s.“ + გამოსახულება (რეგისტრაციის №859158, რეგისტრაციის თარიღი: 30/06/07) 29-ე კლასის საქონლის ჩამონათვლისათვის, რომელთაც აქვთ აღრევაძედ მსგავსი სიტყვიერი ჩანაწერი. ასევე შ.პ.ს. "MAXIMUS+"-ის სახელზე საქპატენტში რეგისტრირებული ნიშნისა „Da! დიას!“+ გამოსახულება (რეგისტრაციის №20828, რეგისტრაციის თარიღი:15/10/10) 29-ე და 30-ე კლასის საქონლის ჩამონათვლისათვის და ტ. მ. სახელზე საქპატენტში რეგისტრირებული ნიშნისა „Da!“ + გამოსახულება (რეგისტრაციის №17851, რეგისტრაციის თარიღი: 18/09/07) 32-ე კლასის საქონლის ჩამონათვლისათვის, რის გამოც, განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

აპელანტი კომპანია „სოსიეტე დე პროდუი ნესტლე“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“. „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად – “ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შედარების დროს სიმბოლოების მსგავსების დადგენის ძირითადი კრიტერიუმია მათი აღრევის, მათ შორის ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა, რისთვისაც ექსპერტიზამ უნდა გაითვალისწინოს სიმბოლოების სმენითი (ფონეტიკა, მუსიკალური უღერადობა), მხედველობითი (გრაფიკა, ფერთა შეხამება), აზრობრივი (სემანტიკა არსი), მსგავსება. სიმბოლოების შედარებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საერთო შთაბეჭდილებას“. აპელანტის პოზიციით, ზემოთ აღნიშნული ნორმების

გათვალისწინებით საერთო შთაბეჭდილებით და მის გარეშეც დაპირისპირებული ნიშნები განსხვავდება ერთმანეთისგან. აპელანტის პოზიციით, განცხადებული სიმბოლო არის ლათინური, სტანდარტული, მთვარული ასოებით შესრულებული სიტყვიერი ჩანაწერი „YES“, მაშინ როცა პირველი დაპირისპირებული საერთაშორისო რეგისტრაცია კობინირებული ნიშანია, ესაა მზესუმზირები ცის ფონზე, მარჯვენა მხარეს სამ არათანაბრად განაწილებული ვერტიკალური ზოლით და შუაში მოთავსებული სტილიზირებული ასოების კომბინაციით „y.e.s.“, სადაც ასოები ერთმანეთისგან გამოყოფილია წერტილებით, ანუ იგი არ წარმოადგენს ერთ სიტყვას და შესაბამისად არ აქვს მნიშვნელობა, რაც დასტურდება „ROMARIN“ –ის ამონაწერითაც, კოდი – 550 – „ნიშანში შემავალ სიტყვებს არა აქვთ მნიშვნელობა“. აპელანტის მითითებით, განხილულ სასაქონლო ნიშანში მისი სიტყვიერი ელემენტი არაა დომინანტი. უფრო მეტ ყურადღებას იქცევს გამოსახულება მთლიანობაში და თუ ამას დავუმატებთ, იმას, რომ განცხადებული და დაცული სასაქონლო ნიშნების საქონელი სრულიად განსხვავებულია ერთმანეთისგან: კლასი 29: რძე, ნაღები, კარაქი, ყველი და რძეზე დამზადებული სხვა საკვები პროდუქტები; რძის შემცველები; რძეზე დამზადებული სასმელები; რძეზე და ნაღებზე დამზადებული დესერტები; იოგურტები; სოიას რძე (რძის შემცველები), სოიაზე დამზადებული პრეპარატები; საკვები ზეთები და ცხიმები; პროტეინის პრეპარატები საკვები პროდუქტებისათვის; არარძის ნაწარმის ნაღები. კლასი 29: დამუშავებული თხილი, დამუშავებული მზესუმზირის მარცვლები (საკვები); დამუშავებული გოგრის თესლი (საკვები); მშრალი ხილი.“ მაშინ აშკარაა, რომ მომხმარებლის მხრიდან არ მოხდება ნიშნების აღრევა და ექსპერტის მიერ მითითებული უარი საფუძველმოკლებულია. რაც შეეხება მომდევნო ორ დაპირისპირებულ ნიშანს, აქაც სახეზეა როგორც მხედველობითი, ასევე, ფონეტიკური განსხვავება, თითოეულ შემთხვევაში გამოყენებულია სამი სხვადასხვა ანბანი – ლათინური, კირილიცა და ქართული „YES (იეს), „Да“(და), „დიახ“, ამასთან კირილიციით შესრულებული სიმბოლო „Да“ სტილიზირებულია და შესრულებულია წითელ ფერში, ქართული „დიახ“ კი შავია. მხოლოდ სემანტიკური მსგავსება არაა საკმარისი, ვინაიდან მომხმარებლისთვის უფრო მნიშვნელოვანია სიმბოლოს აღქმა მხედველობითი და ფონეტიკური კრიტერიუმებით, ამ შემთხვევაში სწორედ ეს ორი კრიტერიუმი ქმნის განსხვავებას

განცხადებულ და რეგისტრირებულ ნიშნებს შორის. აპელანტის განმარტებით, თუ ექსპერტის აზრით, განცხადებულ ნიშანს უარი უნდა ეთქვას დაპირისპირებული ნიშანთან მხოლოდ მსგავსი საქონლის გამო, მაშინ გაუგებარია რატომ არ დაუპირისპირდა ზემოთ აღნიშნული საერთაშორისო რეგისტრაციას № 859158 მსგავსი საქონლის გამო და ეს უკანასკნელი დარეგისტრირდა. აპელანტის მითითებით, კომპანია „სოსიეტე დე პროდუი ნესტლე ს.ა.“ წარმოადგენს საკვები პროდუქტების მწარმოებელ მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს და ცნობილ კომპანიას, რომელიც არანაკლებადაა ცნობილი საქართველოს მოსახლეობისთვისაც და ნაკლებად სავარაუდოა, რომ მისი ნიშნით აღნიშნული პროდუქტი აერიოს მომხმარებელს რომელიმე ზემოთ აღნიშნულ ნიშნის მფლობელთან. ექსპერტის დასკვნა არაა საფუძვლიანი, ნიშნები არაა აღრევეამდე მსგავსი და შესაძლებელია მათი თანაარსებობა ადგილობრივ სამომხმარებლო ბაზარზე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 18 ნოემბრის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №1616/03 ბრძანების ბათილად ცნობას და სასაქონლო ნიშნის „YES“ (საიდ. №71247/03) დარეგისტრირებას საქონლის სრული განცხადებულ ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას და მიიჩნია, რომ განცხადებულ სასაქონლო ნიშანი „YES“ (საიდ. №71247/03) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები „y.e.s“ (IR 859158), „Da! დიახ!“ (რეგ. №20828) და „Да!“ (რეგ. 17851) წარმოადგენს აღრევეამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. განცხადებულ

სასაქონლო ნიშანი და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „y.e.s” (IR 859158) მსგავსია ვიზუალურად, რადგან მართალია დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი კომბინირებულია და სიტყვიერი ნაწილის „y.e.s” გარდა შეიცავს მზესუმზირის ყვავილების გამოსახულებას, სადაც ცენტრში შავი ასოებით დატანილია სიტყვიერი აღნიშვნა „y.e.s”, რომელიც შესრულებულია ლათინური სტანდარტული ასოებით და მართალია აღნიშნული ასოები გამოყოფილია წერტილებით, მაგრამ იგი მომხმარებლის მიერ მაინც აღიქმება, როგორც „yes”. აღნიშნული წერტილები და გამოსახულება ვერ სძენს ნიშანს იმ დონის განსხვავებას, რომ არ მოხდეს სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. ამასთან იდენტურია განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის ქუერადობა, რადგან ორივე სასაქონლო ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც „იეს”. განცხადებულ და დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს აქვთ ასევე ერთი და იგივე სემანტიკური მნიშვნელობა, რადგან ორივე სიტყვა ელემენტარული ინგლისური ენის მცოდნე ქართველი მომხმარებლისათვის ქართულად ნიშნავს „დიახ”, ანუ თანხმობის გამომხატველ ფორმას. აღნიშნული კიდევ უფრო მეტად ზრდის სასაქონლო ნიშნების ერთმანეთში აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. რაც შეეხება მომდევნო ორ დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანს, “Da! დიახ!” (რეგ. №20828) და „Da!”, აღნიშნულ ნიშნებს და განცხადებულ ნიშანს აქვთ იდენტური სემანტიკური მნიშვნელობა, შესაბამისად მათ შორის არსებული ფონეტიკური და ვიზუალური განსხვავება ვერ განასხვავებს ნიშნებს იმ დონემდე, რომ არ მოხდეს აღნიშნული სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. მსგავსია ასევე განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვალიც, რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის სასაქონლო ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და სასაქონლო ნიშნის „YES” (საიდ. №71247/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებულ საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა ო ო ე კ ი ტ ა :

1. კომპანიის „სოსიეტე დე პროდუი ნესტლე ს.ა.“-ს (SOCIÉTÉ DES PRODUITS NESTLÉ S.A.) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 18 ნოემბრის №1616/03 ბრძანება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ქ. ქ.

წევრები:

ი. გიქორაშვილი

დ. ჭიჭინაძე